



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 28 ივლისი 9 1900 № 28

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით გაუგზავ. 7 მან., გაგზავნით 8 მან. ნახევარი წლით გაუგზ. 3 მან. 50 კაპ., გაგზ 4 მან. სამი თვით გაუგზ. 2 მან., გაგზ. 2 მან. 50 კაპ., თითო ნომერი სამ შაურათ.

**ხელის-მოწერა მიიღება:** ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая, д. зем. банка № 101) და თვით „კვალის“ რედაქციაში არტილერიის ქუჩა, № 5. ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Квали“.



**შინაარსი:** ჩინეთი. —სხვა-და-სხვა ამბები.—„კვალის“-ს კორესპონდენციები.—მტერი ამბობს! ი. ევდოშვილისა.—ჩინეთის ამბები.—ჯავახეთი და ჯავახელნი (დასასრული) ი. გომართელისა.—მოღალატე ძაღლი ბაჩანასი.—წერილი რედაქციის მიმართ და განცხადებები.



საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი „ჯეჯილი“ № VI დაურიგდა ხელისმომწერლებს.


## რედაქციისაგან

რადგან ნ. ჟორდანია ამ ჟამად ტფილისში არ იმყოფება, ამიტომ სარედაქციო წერილები ყველა პირდაპირ რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს.

# ჩინეთი

## II

სწავლა-განათლება. რადგანაც სამსახურში შესვლის ერთად ერთი პირობა სწავლა-განათლებაა, ცხადია ამას დიდ ყურადღებას უნდა აქცევდეს, როგორც მთავრობა ისე ხალხი. მთავრობას უნდა მოხელე, მაშასადამე მოვალეა სკოლები დახსნას, გლეხს კი სწავლით შეუძლია მაღალი ადგილი დაიჭიროს და პირადი აზნაურიც გახდეს—მაშასადამე ისიც ძრიელ უნდა ეტანებოდეს სკოლას. და მართლაც, არსად ისე არ არის გავრცელებული წერა-კითხვა, როგორც ჩინეთში. ამ მხრით ამ ქვეყანამ ევროპას კაი ხანია გადააჭარბა. სატახტო ქალაქის სასწავლებლები პირდაპირ უმაღლესი მთავრობის ზედა-მხედველობის ქვეშ არიან. ხოლო პროვინციაში დაყენებულია სახალხო განათლების დირექტორი და მას მორჩილობენ მასწავლებლები და სასწავლებლები. ესენი ინახება სახელმწიფოს ხარჯით და ეწოდება სახელმწიფო სასწავლებლები. მაზრის ქალაქს უეჭველად აქვს ერთი სახელმწიფო სასწავლებელი მაინც. ამას გარდა, ყველგან, პაწია სოფლებში და მივარდნილ კუთხეებშიაც კი არის სახალხო სკოლა, რომელიც ინახება საზოგადოების ან კერძო პირის ხარჯით. სოფლის სკოლის გათავებას შემდეგ, ვინც სამსახურში შესვლას აპირებს, იჭერს ეგზამენს მაზრის სკოლაში და იქ აგრძელებს სწავლას. აქედან გადადის პროვინციის უმაღლეს სასწავლებელში და როცა ამასაც გაათავებს და ეგზამენსაც დაიჭერს „ნიჭიერის“ სახელს იმსახურებს და სამსახურში შესაფერ ადგილს აძლევენ.

ხოლო ის ვინც თვით პეკინში დაიჭერს ეგზამენს, ღებულობს „სწავლულის“ ხარისხს და ინიშნება უმაღლეს მანდარინათ. ამ გზის გაკეთება შეუძლია ყველა ჩინელს, მიუხედავათ წოდებისა, თუ კი შეძლება და ნიჭი ხელს უწყობს. რასაკვირველია, მთელი ეს განათლება არის განათლება ჩინური, რაიცა მდგომარეობს ჩინეთის ფილოსოფიასა, ისტორიასა და ლიტერატურაში. მას ევროპიელი განათლების არაფერი არ ახლავს. მხოლოთ ამ უკანასკნელ დროში პეკინში მთავრობამ დაარსა „სასწავლებელი უცხო სწავლისა“, სადაც ასწავლიან ინგლისურ, ფრანგულ, ნემეცურ და რუსულ ენებს და ამასთანავე მატემატიკას, ქიმიას, ფიზიკას და სხვა ევროპიულ საგნებს. პროფესორებათ არიან ევროპიელნი, ხოლო ჩინურ მეცნიერებას თვით ჩინელნი ასწავლიან. აგრეთვე ზღვის პირის ქალაქებში ქრისტიან მისიონერებს აქვთ ევროპიული სკოლები ჩინელ ბავშთათვის. სამხედრო საჭიროებისათვის მთავრობამ ამ ბოლო დროს ევროპიული სამხედრო სკოლებიც დახსნა. წიგნები ერთობ ბევრია ჩინურ ენაზე, ხოლო გაზეთები კი ძლიერ ცოტა. სულ 14 გაზეთია მთელ ჩინეთში! ამათში შვიდი მარტო ქ. შანხაიში.

სარწმუნოება. ჩინეთში სამ ნაირი სარწმუნოებაა, სამივე გაბატონებული და კანონის წინაშე თანასწორი. უძველესია დაოს სარწმუნოება, რომელიც დააარსა ლაოციმ 2500 წლის წინეთ. აი მისი მოძღვრება: დასაწყისი ქვეყნიერებისა არის დაო; დაო არის ის ნივთიერება, საიდანაც წარმოდგა ცა, მიწა და მთელი სამყარო. დაო მიუწვდომელი და უცნობია; ის თავის არსებაში ატარებს კეთილს და ბოროტს, რის მეოხებით ყოველივეს აგებს ღირსების თანახმათ. ღირსეულს ამაღლებს, უღირსს ამდაბლებს, მდიდარს ართმევს და ღარიბს აძლევს და სხ. ლაოცის აზრით, ,,ადამიანი ბუნებით კეთილია და თუ ამ თავის ბუნების თანახმათ იმოქმედებს ბოლოს დაუბრუნდება დაოს. მან თავის მოვალეობის ასასრულებლათ სამოქალაქო საქმეებისა არაფერი არ უნდა იცოდეს, უნდა ცხოვრობდეს თავისი შრომით, უბრალოთ და ერიდოს ყოველივე მაცდურებას''. ერთი სიტყვით—სიახლოვე ბუნებასთან, პირადი შრომა და უბრალოება—აი ლაოცის სარწმუნოების დედა აზრები. ლიოცი იყო ხელმწიფის ბიბლიოთეკარი. გადაიკითხა ყველა მაშინდელი წიგნი და მივიდა ამ დასკვნამდის. მაშინ დატოვა თავისი ადგილი და მოვლო ქვეყანა ქადაგებით. ბოლოს გამოემშვიდობა მოწაფეთ, აიწია ღრუბლებამდის და გაჰქრა ცის სივრცეში—ამბობენ ჩინელები, ამ ნაირათ, დაოს სარწმუნოება—ეს არის ქვეყნის გაჩენის ახსნა და განმარტება. აქ ღმერთათ მატერია, ნივთიერება არის აღსარებული და მით უფრო პანტეინსტურ მოძღვრებას ჰგავს. ის არ ეხება საზოგადო ცხოვრების განწყობილებას.

აი ამ ნაკლს ავსებს მეორე სარწმუნოება, რომელიც თითქმის ამავე დროს გაავრცელა ჩინეთში ფილოსოფოსმა კონფუციმ. კონფუცი, ჩინელების სიტყვით, უბრალო კაცი იყო, ღარიბი ოჯახის შვილი, დაიბადა 511 წ. ქრისტეს წინ. შვიდი წლისა სკოლაში მისცეს, მაგრამ სიღარიბის გამო სოფლის სკოლას ველარ გაცილდა. ის დანიშნეს პურის მაღაზიების უფროსათ და აი აქ იმან ხელი მოჰკიდა თვით განვითარებას. მას განსაკუთრებით შეუყვარდა ძველი ამბები, ლეგენდები და ისტორიები. ამ დროს ჩინეთში დიდი არეულობა და უწეს-რიგობა იყო და აი ამას შეადარა წარსული, როცა წესი და რიგი არსებობდა და დაასკვნა: სამოთხე წარსულშია, აწმყო ჯოჯოხეთია. აი საფუძველი მისი მოძღვრების. მან დაანება თავი თავის ადგილს და შეუდგა ქადაგებას. ის მოვიდა ლუს სამთავროში, მთავარმა მოუსმინა მას, მოეწონა მისი ქადაგება და დანიშნა ერთი ქალაქის უფროსათ. კონფუციმ აქ გამოიჩინა დიდი ნიჭი ადმინისტრატორისა; მოსპო მექრთამეობა, დაამყარა წეს-რიგი და სხ. კონფუცი დაინიშნა მინისტრათ და სახელი მისი გავარდა შორ ქვეყნებში. ლუს სამთავრო შეიქნა სამაგალითოთ მთელი ჩინეთისათვის, აქ მოდიოდენ მოხელენი და უმაღლესი პირნი ამ საარაკო კაცის სანახავათ. ახლა კონფუცს მიეცა ფართო ასპარეზი ექადაგა ღავისი მოძღვრება და ის იყო კიდევაც გაავრცელა. კონფუციმ ყოველივე არა-ბუნებრივი და მიუწვდომელი უარჰყო, ის მხოლოთ ქვეყნიური ამბების ახსნას შეეცადა.

აი მისი უმთავრესი აზრები: ადამიანის უმთავრესი მიზანია გაუმჯობესება საშუალო სწავლა-განათლებაა. სწავლის შემწეობით შეგვეძლება გავიგოთ ქვეყნიერება. როგორც კი ამას გავიგებთ, მაშინ შეგვეძლება ბუნების შეცვლა და განვითარება. ხოლო ვისაც შეცვლა შეუძლია ის უკვე სრული ადამიანია და ხდება ზეცის თანამშრომლათ ბუნების შექმნაში და ამით ღვთის ხარისხამდის ადის. ადამიანი უნდა ვადაიქცეს ღმერთათ—აი მისი მიზანი. ამისათვის კი საჭიროა შესაფერი აღზრდა. აღზრდა იწყება თავისივე ბუნების დაკვირვებით და გაგებით, „საჭიროა ლაპარაკში და მოქმედებაში სიფრთხილე, მორიდება ყოველივე ცუდის და უწესოსი; გულწრფელობა გზაა, ცოდნა ლამპარია, ერთგულობა სამოსელი“. შვილი მოვალეა პატივის ცემით ეპყრობოდეს მშობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს და როცა ისინი გადაიცვლებიან რიგიანათ და ღირსეულათ დამარხოს. საფუძველი საზოგადოების ოჯახია, ოჯახის თავი მამა-კაცია, ქალი კი მისი მორჩილია. ცოლი გაუთანასწორდება ქმარს მხოლოდ მაშინ, როცა მას შვილი ეყოლება. რაც შეეხება ხელმწიფეს კონფუცი ამბობს: ხალხი კეთილი იქნება, „თუ ამას ხელმწიფე მოისურვებს“; ამისათვის საჭიროა მხოლოდ, რომ მან ხალხს დიდი გადასახადები არ დაადვას, მიუცილებელი სახმარი ნივთების შეძენა ხალხსაც შეეძლოს, „ტანისამოსი წესისამებრ ატაროს და გამოხედულობა ღირსეული ჰქონდეს“.

ამ ნაირათ, ლაოციმ ახსნა ქვეყნის წარმოშობა, კონფუციმ დააწესა ამ ქვეყნიური ცხოვრების წესები, ხოლო საიქიოს, სულის და ცხონების საქმეს არც ერთი არ ეხება. და აი ამ მხარეს ავსებს მესამე სარწმუნოება, რომელიც იქადაგა „ბუდამ“.

ინდოეთის მეფის შვილმა, 25 წლის საკი—ამუნიმ, დატოვა უცებ სასახლე და წავიდა ტყეთ. აქ იმან დაჰყო 5 წელს მარტოთ მარტო, შეიმუშავა ახალი შეხედულობა ქვეყანაზე, მიაგნო ჭეშმარიტებას, შეიქნა ფილოსოფოსი (ე. ი. ბუდა) და გამოვიდა საქადაგებლათ. იმან, სასახლის სიმდიდრით მოქანცულმა, უარჰყო ყოველივე სიამოვნება, სიმდიდრის ამაოებაც აღიარა და იდეალათ გამოიტანა ადამიანის ისეთი მდგომარეობა, როცა არც სიამოვნებას გრძნობ და არც უსიამოვნებას. როცა არავითარი ქვეყნიური არ გაშფოთებს, არაფერი არ გაწუხებს, ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი ადამიანი იმალება და მის ალაგას ღვთიური, ზეციური ადამიანი დგება. აი ამ მდგომარეობას ეწოდება „ნირვანა“. მაშასადამე, ადამიანის მიზანია „ნირვანაში“ შესვლა. ვინც აქ შედის იქცევა „ბუდათ“. ამ ქვეყნათ ვინც წუხს და იტანჯება, ის იმ ქვეყნათ „ნირვანში ნეტარებას“ მიიღებს. აი უმთავრესი პრინციპი ბუდას სარწმუნოებისა. ეს მოძღვრება ყველაზე უფრო გავრცელდა მთელ აღმოსავლეთში და ეს იმიტომ რომ ის საიქიოს შეეხება და იქ ნეტარებას უქადის სააქაოს ტვირთ მძიმეთა და მაშვრალთ. და აი ეს უკანასკნელნიც შემოკრბენ მის გარშემო.

ამ სახით, ჩინეთის სამივე სარწმუნოება ერთმანეთს ავსებენ, ერთმანეთს ხელ უწყობენ და ამისათვის სამივე სახელმწიფო სარწმუნოებათ არის დაკანონებული. პირველ ორს მისდევენ უფრო შეძლებულნი, მესამეს კი დაბალი ხალხი [1]).

---

[1]) იხ. დუმლასის „Society in China“.

## სხვა-და-სხვა ამბები

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ბ. კ. პ. იანოვსკიმ აცნობა ტფილისის გამგეობას, რომ საერო განათლების სამინისტრომ განიხილა ქალაქის შუამდგომლობა ავლაბარში პროგიმნაზიის დაარსების შესახებ და საჭიროთ დაინახა თფილისს მიემატოს სასწავლებელი, ხოლო არა კლასიკური პროგიმნაზია, არამედ სხვა რაიმე სახის სასწავლებელი, სამრეწველო ხასიათისა, რომელიც უფრო შეეფერება აწინდელ გარემოებას და მოთხოვნილებას. ბ. იანოვსკი თხოვს ქალაქის თვითმართველობას, მაცნობეთ თქვენი აზრი სამინისტროს წინაშე წარსადგენათ, რა სამრეწველო ხასიათის სასწავლებელი უფრო გსურთო.

ნაძალადევში მიკიტან ნიკო სოსაძეს და მის ამხანაგს ერთი ახირებული საშუალება მოუგონიათ: თუ მუშტარმა, რომელიც ნისიათ ეზიდება რამეს, დანიშნულ დღეზე სრულად ნახარჯი ar მოუტანა, წამოაქცევენ საერთო ძალით და ცემით გახეთქენ. ამ გვარი შემთხვევა იყო ამას წინეთ:—სამიკიტნოში შევიდა მიხა ციცაგი და დახლიდარს დანახარჯის ნაწილი აძლია; ამ „პალუჩკაზე“ ცოტა მერგო და მეორე „პალუჩკაზე“ მთლათ გაგისწორდებიო. სიტყვის თქმაც არ დააცალეს ციცაგს, ეცენ, დასცეს საწყალი მუშა და მინამ სცემეს, სანამ ვინმე მიეშველებოდა.

ამიერ კავკასიაში ჩამოსულან ბელგიელი კაპიტალისტები ვერმელენი და ბერნარდი; ამათ აზრათ აქვთ გამოიკვლიონ აქ ის ადგილები, სადაც ქვამადნებია, შეიძინონ და შემდეგ წარმოებას შეუდგენ.

გზათა მინისტრს განკარგულება მოუხდენია, რომ რკინის გზების ბუფეტების პატრონთათვის სავალდებულო დაჰხადონ მცირე წლოვანი მოსამსახურენი არ ამუშაონ ხოლმე საღამოს 10 საათიდან დილის 6 საათამდის.

ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორს ბ. ალექსანდრე გარსევანიშვილს უთხოვნია „წერა-კითხვის საზოგადოების“. გამგეობისათვის, გამათავისუფლეთ 20 აგვისტოდან ინსპექტორის თანამდებობიდანო. გამგეობას შეუწყნარებია ეს თხოვნა.

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში 1 და 2 მოსამზადებელ კლასებში წელს 60 ვაკანსიაა. დანარჩენ კლასებში არც ერთი ვაკანსია არ არის.

ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა, საყოველთაოთ გამოაცხადოს გაზეთების საშუალებით, რომ პატარა ნაჭრებზე სახლის აშენების უფლებას ამიერიდან აღარავის მისცემენ, არც ქალაქის ძველსა და არც ახალ ნაწილში. ამით გამგეობას აზრათა აქვს გააფრთხილოს ის მიწის მყიდველნი, რომელთაც ქალაქის გამგეობის ეს გარდაწყვეტილება არ იციან და ადვილათ შეიძლება მოტყუვდენ.

როგორც რაჭიდან გვატყობინებენ, სოფ. წედისისა და კუდაროს ხეობაში ამ ბოლო დროს რამდენიმე მადანი აღმოუჩენიათ სხვა-და-სხვა ლითონისა, მაგალითად: სპილენძისა, რკინისა, მარგანეცისა და ქვა-ნახშირისა. მადნის მეპატრონეები დღე-დღეზე ფულის პატრონთა ამხანაგობებს თურმე ელოდებიან, რომ მუშაობას შეუდგენ.

ბამბაკის ხეობაში ჩამოწოლილა დიდი ზვავი, რის გამოც ეს სამი დღეა ყარსის რკინის გზაზე მატარებლების ჩვეულებრივი მიმოსვლა შეწყვეტილია. ამბობენ ათ ივლისამდის ძლივს გაკეთდებაო.

სოფ. ქარელში 22 ივლისს საცეკვაო საღამოს მართვენ თურმე მომავალი სამკითხველოს სასარგებლოთ. დროც იყო, ქარელელებს ეზრუნათ სამკითხველოსთვის!

კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ქართ. თავად.-აზნ. ქარვასლის მოვლა, შეუდგომია ქართული თეატრის შეკეთებას.

ტფილისის ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოება უკვე შეუდგა წყნეთის ქუჩაზე ტრამვაის გაკეთებას.

---

## „კვალის“ კორესპონდენციები

**ს.** წრომი. შარშან „კვალში“ მოხსენებული გვქონდა, რომ ათმა წრომელმა გლეხის ოჯახმა შეიყიდა ადგილობრივი მემამულისაგან 127 დღიური მამული. ამ მამულში სხვათა შორის ურევია ორმოც დღიურამდის ჩირგვნარი, რომელსაც „კუდატუეს“ ეძახიან. ძველი პატრონისთვის ის ყოვლად გამოუდეგარი იყო, და წრომელები მუქთ საბალახეთ ხმარობდენ. არც ელოდა სოფელი თუ ვინმე „კუდატუის“ მუქთ სარგებლობიდან ხელს აადებინებდა. ახალმა მესაკუთრეებმა არ იკაბულეს ეს, გადაწყვიტეს კუდატუის ტყეთ ქცევა. და აღარავინ შეუშვეს. ამან მთლად ააშფოთა წრომელები, უფრო ღარიბი გლეხობა, ვიდრე კუდატუის ახალი მესაკუთრენი, მოჰყვენ სატოდავ წუწუნს, ჩავარდენ გაჭირებაში. მათი გაჭირება თანდათან მატულობს, ვალი ვალს ემატება წლიდან წლამდე და უკეთესობა არსაიდან ჩანს. ახლა „კუდატუის“ შეკვრას ხომ ახალი გაჭირება მოაქვს, გასასავლელში აგდებს მის ერთად ერთ ნივთიერ ძალას, საქონელს. მაგრამ რა მოუხერხონ თავის მოძმეთა „უღმერთო“ განზრახვას. „ჩვენც ცოდონი ვართო—უპასუხებენ ისინი, ამდენი ფული მივცით და თქვენ მუქთად როგორ დაგითმოთო“. და რომ არც თვითონ ეზარალნათ და არც სოფელი ჩაეგდოთ გაჭირებაში, ახალმა მემამულეებმა წინადადება მისცეს სოფელს: „კუდატუე“ სასოფლოთ შეიყიდეთო. მაგრამ სოფელმა ვერ შეიძლო სამყოფი ფულის გამოღება. ამაზე სასტიკად განრისხდენ „კუდატუის“ ახალ პატრონებზე აქაური თავადები. ზოგს მათგანს ცხვრის ფარა ჰყავს და მაშასადამე „კუდატუის“ შეკვრა მათთვის ზარალია, ზოგმა თავხედობად ჩათვალა გლეხების ამ გვარი საქციელი. სანამ მებატონისა იყო „კუდატუე“ ის მუქთად უთმობდა სოფელს მის ხმარებას, როცა კი გლეხებმა ჩაიგდეს ხელში რა საზიზღრობას ჩადიანო; გლეხი მაინც აგრეა, თუ ერთი წამოიწია, ზრდილობას დაჰკარგავს, კეთილშობილებას არაფრად აგდებსო. ახალი მესაკუთრეები კი „ხელმწიფის კანონზე“ იშვერენ ხელს.

წელს წრომელებმა სოფელში წყარო გამოიყვანეს, ამაზე თავადები ეუბნებოდნენ:—წყარო ჩვენ მამულში გაივლის, თუ „კუდატუეს“ შეჰკრავთ-წყაროს მოგიშლითო. ახალი მემამულეები უპასუხებდნენ: „თუ კანონი აგვიკრძალავს „კუდატუის“ შეკვრას, არ შევკრავთ, თუ კანონი მოგცემთ ნებას უკვე გამოყვანილი წყაროს მოშლას, მოშალეთო“. შეიბნენ „კანონი“ და „ხანჯალი“—და პირველმა აჯობა, რაც წინეთ იშვიათი და თითქმის შეუძლებელი იყო. მიუხედავად ამისა „კუდატუის“ საქმემ უფრო დააკავშირა თავადებთან ღარიბ-ღატაკი გლეხკაცი. ისინი უფრო და უფრო ხშირად ეუბნებიან თავის გამდიდრებულ ძმებს—ისევ ბატონმა გვჭამოს ის გვირჩევნიან, ვიდრე თქვენაო. უბალახოთ რომ არ დარჩენილიყვნენ, წრომელებმა იჯარით აიღეს ვაყის მებატონე ლუკა ბეგთაბეგოვისაგან დოღლაურში მდებარე პატარა ჭალა, 25 თუმნათ მთელი ზაფხულით. საწყალმა გამოუცდელმა წრომელებმა აქაც იზარალეს, რას იფიქრებდნენ თუ ნათესის გაჭრამდის მაინც არ ეყოფოდათ ჭალის ბალახი,

რომელიც სამ კვირაზე გამოიღია. ასე რომ 25 თუმნის გადებამ ამაოთ ჩაუარათ, საქონელს ისევ შიმშილი და შიმშილით დახოცვა ელის. თუმცა „კუდატუის“ შეკვრამ ასეთი ალიაქოთი გამოიწვია, მაგრამ მეორე მხრივ სასარგებლო სოფლისთვის ის არის, რომ გლეხი მესაკუთრე მამულს უფრო ნაყოფიერათ, უფრო კულტურულათ ხმარობს. წრომში უწლობაა, ამოდენა ხრიოკის ტყეთ ქცევა, უეჭველია, წრომს წყალს შემატებს. ახალმა მეპატრონეებმა შეჰკრეს კუდატუე, კულმოდგინეთ აპატიებენ მიწებს, იღებენ თხრილებს, ამაგრებენ წყლის პირას მდებარე მამულებს, რომ წყალდიდობისას წინანდელივით არ წაიღეკოს ხოლმე. ამნაირათ ერთმა გლეხმა თავის-წყლის მდებარე ვენახი გაამაგრა. ვენახის პირდაპირ მეორე ნაპირას მამული ერთ აზნაურს ეკუთვნის. ამ კეთილშობილმა, იმის მაგივრათ რომ თითონაც გლეხისთვის მიებაძნა და თავის მამულიც გაემაგრებინა, დავა აუტეხა გლეხს—ნუ ამაგრებ შენ მამულს, წყალი სულ ჩემ მამულს მიეცემაო. ამ დავით მიმართა ადგილობრივ მამასახლისს, და ამან სასაცილო ოქმი შეუდგინა გლეხს, რომელსაც ბრალდება თავის მამულის გამაგრება წყლის წალეკისაგან. ამ გვარათ გლეხის ხელში მამულის ჩაგდება ნიშნავს მამულის გაკეთებას, განაყოფიერებას. ის მზათ არის მიიღოს ახალი წესი მიწის შემუშავება მოხმარებისა, გამოიწეროს ევროპიული გუთნები და იარაღები, ოღონდ მათი ნამდვილი სარგებლობა დაინახოს.

მამულის შეძენა ხშირათ მეტათ ძვირათ უჯდება გლეხს. მამულის ყიდვის სურვილი თანდათან მატულობს, ამით სარგებლობს კეთილშობილთა წოდება. ხშირათ ერთ მამულს რამდენიმე მყიდველი ჰყავს და ფასი ერთი სამათ იწევს. ხშირათ მებატონე ასახელებს გასაყიდათ ისეთ მამულს, რომელზედაც უკვე დასახლებულია რომელიმე ბოგანო, რომლისაც, როგორც არა ხიზნის, აყრა ადვილია. მაშინ საწყალ გლეხს მეტი ჯანი არა აქვს:—ან უნდა აიყაროს, რაც ნიშნავს მის დიდ ზარალს, ან არა და რაც უნდა ღარიბი იყოს იყიდოს მამული იმ ფასათ რა ფასსაც მებატონე დაადებს; გადატაკდეს, დავალიანდეს, ეს განა აყრის აცილებაა?..

მკითხველმა იცის თუ რა ზარალი დატრიალდა წრომში და ახლო მახლო სოფლებში. 17 მაისს სეტყვამ მთლათ გაანადგურა ნათესი და ვაზი, ყანა ზოგ-ზოგ ალაგს მოთიბული გეგონებოდათ. საცოდავია ზოგის მდგომარეობა, რომლებსაც წლიური სარჩო მეორე წლამდის ვერ მისდევთ და აბა ამ დაზარალების დროს რაღამ არჩინოთ. სეტყვის შემდეგ წვიმები დაიჭირა, რამაც ხელი შეუწყო მოსავლის ცოტაოდნათ გამობრუნებას. ნასეტყვმა მეორეთ ამოხეთქა და წვრილი თავთავიც დაისხა, მაგრამ ისეთი ფუშტე და უბარაქო, რომ დაზარალებულთ ბევრს არას შემატებს. გაიგეს საწყლებმა, რომ მთავრობა ეწევა დაზარალებულთო, და მოინდომეს ამ ხავსის მოჭიდება. მაგრამ, აქამდე ვერ აცნობეს მთავრობას თავის ზარალი. ორკვირამდის უთვალეს მამასახლისს, მობძანდი, შენი კეთილი თვალით ნახე ზარალი და შეამოწმეო. ბოლოს ძლივს კეთილ ინება მოსვლა და შეამოწმა, წაიღეს მოწმობა, სადაც ჯერ არს, მაგრამ უკან დაუბრუნეს, ბრისტავის მოწმობის აღებაა საჭიროო; ეს კი უფრო ძნელი გამოდგა, მოწმობა აქამდისაც ვერ აუღიათ.

მ.—ლი.

—

ს. სუფსა. (გურია) სადგურ სუფსის გარშემო მიდამოები საკმაოთ დაესახლა ამ რამდენიმე წლის განმავლობაში. ასამდე სავაჭრო სახლები და თითქმის ორი ამდენი კომლი მოსახლე იქნება იმ ადგილებზე, სადაც 15—18 წლის წინეთ გაუმშრალებელი ჭაობიანი ტყე იყო. 1882 წლიდან, ბათომის რკინის გზის გაყვანის შემდეგ, გაიკაფა აქაური ტყე, გააშრეს ჭაობები და ნელნელა ჩამოესახლენ გურიის სხვა და სხვა კუთხე სოფლებიდან.

დღეს აქ არსებობს: ეკკლესია, სამრევლო სკოლა, სამკითხველო და სააფთიაქო განყოფილება. ამნაირათ სუფსამ წინ წაიწია და მოქალაქეობრივი იერი დაეტყო მის მდგომარეობას; ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ყველა ეს რკინის გზის მეოხებით მოხერხდა, უამისოთ აქ არც არავინ დასახლდებოდა და არც რამე დაარსდებოდა.

აქ შეხვდებით ზოგიერთ დუქნებში მოვაჭრე ქალებსაც; ჩამდგარან დახლში, ხელში არშინით, მასთან ერთათ დაუდგამთ საკერავი მანქანა და როცა მუშტარს გაისტუმრებენ ხელსაქმეს მოჰკიდებენ ხელს.

რას იტყოდა ოცის წლის წინეთ ჩოჩხანელი, ჯუმათური და გურიანთელი კერძოთ და გურული კაცი საერთოთ, რომ თავისი ქალ-რძალი სავაჭრო სახლში დაენახა?!.—დედავ წაგვპილწა, მაგ ოროსპმა, მაგასთან პური აღარ იჭმევაო—იტყოდა., ახლა კი სულ სხვასა ვხედავთ. დღეს ყველა გრძნობს მოქალაქეობრივ ნათელ ცხოვრების მნიშვნელობას და უარჰყოფს ძველ პატრიარქალურ კარჩაკეტილობას.

მიუხედავათ ამ გვარი პროგრესისა აქ საპატიო ადგილი უჭირავს ჭორიკანაობა-მიეთ-მოეთობას, როგორც მანდილოსნებს ისე ქუდოსნებ შორისაც. ეს ერთი ხანია მეტათ გახშირდა მეზობლებ შორის ქუჩაში გამოწვეული ერთმანეთის ლანძღვა-თრევა, უწმაწურათ ხსენება, მარა ქალები უფრო იშვიათათ ღებულობენ მონაწილეობას, უფრო ხშირათ მამაკაცები გამოდიან ამ სამარცხვინო სცენაზე; არ არის ერთი პატრონი, დამრიგებელი, წინამძღოლი. მაგრამ არა, მას ჰყავს თითო ოროლა გულ შემატკივარი და თითო ოროლა ცრუ პატრიოტებიც. რომელნიც მარტო

ფრაზებით აშენებენ სოფელს და საქმეს კი გაურბიან განზე.

დიდი ხანი არ არის რაც აქ უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველო დაარსდა და დღეს-ვე ეტყობა უზრუნველობა და მოსალოდნელია, რომ ამ მდგომარეობაში მალე სული განუტევოს. სკოლაც ვერ არის სასურველ მდგომარეობაში, ყველა ამისთვის ენერგიული მზრუნველობა არის საჭირო და არა ცარიელი, დაფერილი ფრაზები.

სავაჭრო სახლები მხოლოთ სამია ქვის შენობაში, დანარჩენი ძველი, უგემოთ აშენებული ხის შენობებია. ღმერთმა დაიფაროს და რომ ერთ ადგილას ცეცხლი გაჩნდეს ბევრი მათგანი გახდება მსხვერპლი შეუბრალებელ სტიქიონისა და მერე თითზე კბენა გვიანღა იქნება. დაზღვევა შენობისა და სავაჭროსი აქ ჯერ უცნობი ხილია და არც არავინ იწუხებს თავს მისთვის. აქეთ შვენიერი ამინდებია, და მოსავალსაც ჯერ რაც შეეფერება კარგი პირი უჩანს.

--

**ს. საჯევახო** (ოზურგეთის მაზრა). დიდი ხანია რაც ამ სოფელში აბრეშუმის მოყვანას მისდევენ, მაგრამ ამ ბოლო წლებში ეს უფრო ფართო ნიადაგზე მყარდება. საუბედუროთ შეაბრეშუმობას ვერ მოაქვს სასურველი ნაყოფი მცხოვრებლებისათვის. ამის მიზეზი მრავალ-გვარია. ყველაზე უპირველესი მათ შორის კი ორია: ერთი, რომ ამ უკანასკნელ დროს ჩვენში გავრცელდა შემოსული ჩარჩები, რომელთაც შემოაქვთ არა სასურველი თვისების თესლი და მრავალ-ფეროვან „კოროპკებში" აძლევენ გლეხებს იმ ფასათ, რა ფასსათაც შეიძლება კაცმა შეიძინოს იმოდენივე თესლი უფრო კარგი თვისებისა. არა ერთ და ორ გლეხს შეხვდებით გულ-დათუთქულს. თუ იკითხავთ მისი დაღვრემილობის მიზეზს, მაშინვე მიიღებთ პასუხს: „იმ დალუპულმა, დიდ კანამდის ძალიან ჭამა, მამასისხლათ ნაყიდი ბჟოლა და მერე კი ხელი დამაბანიაო". ე. ი. პარკი არ გააკეთაო. უბედურება გლეხისა კიდევ უფრო ორკეცდება პარკის გაყიდვის დროს. პარკს ყიდულობს ჩვენში უფრო მდიდარი სხვა და სხვა ქალაქებიდან მოსული ბერძნები და სომხები. მოვლენ თუ არა სოფელში ეს ვაჭრები მაშინვე გაუჩნდებიან აქაური წვრილ ფეხა ჩარჩები და ეუბნებიან, რომ პარკს ძალიან იაფათ გაყიდვინებთო. ეს ვაჟბატონები ურიგდებიან იმათ თითო ფუთზე სამ მანეთ ,,საკომისიოს" ე. ი. რამდენ ფუთს მიუტანებენ იმდენ სამ მანეთს ნაყიდობაზე მეტს მიიღებენ. ფასიც, რასაკვირველია, ამ ვაჟბატონებზეა დამოკიდებული, და როგორც უნდათ ისე მიაქვთ. მაგრამ იაფათ წაღებას კიდევ არ ჯერდებიან: დააქვთ რაღაცა უხეირო ყანთარი, რომელზეც აწონა ეშმაკსაც არ შეუძლია, და თითო ფუთზე პარკის პატრონს ათ გირვანქას მაინც წააგლეჯენ. ნეტავი ვიცოდე მე საწყალმა პროვინციელმა, შეიძლება თუ არა ამ ჩარჩების თავგასულობას ბოლო მოეღოს და არის თუ არა თფილისში ან სადმე კავკასიაში იმისთანა დაწესებულება, რომ კარგი თესლი მაინც გამოგვიგზავნოს სოფელში, და თუ არის, რას აკეთებს? შეიძლება იმაში მოსამსახურეებს ჰგონიათ, რომ მარტო რაპორტების, ,,Все благополучно"-ს ძახილი და არაფერზე ატჩოტების წერა გვეყოფა.

მოსე დუთუჩავა.

—

**ს. ამაშუკეთი.** (შორაპნის მაზრა). არა მგონია, ქუთაისის გუბერნიაში იყოს სადმე, ისეთი ყოველი მხრით დაქვეითებული სოფელი, როგორც ამაშუკეთი გახლავთ. ამ სოფელს უჭირავს მომეტებულათ მთა-გორიანი ადგილი. ნიადაგი ძლიერ უნაყოფოა, გარდა ზოგიერთი პაწ-პაწია, მდ. ,,ძირულის" პირზე მდებარე, ჭალებისა, რომლების რიცხვი ძლიერ ცოტაა. აქ მოჰყავთ მარტო სიმინდი და ღვინო, მაგრამ ისიც ძლიერ ცოტა. ,,ნაცარსა" და სხვა სენს ვენახები სულ ერთიანათ გაუნადგურებია, ამისათვის აქაურნი მკვიდრნი, როგორც გლეხები, აგრეთვე ბრწყინვალე წოდებაც, მომეტებულათ სიღარიბის მორევში გახვეულან. წარმოუდგენელია აქაური გლეხკაცების შევიწროვება და დაბეჩავება ზოგიერთი ბატონებისაგან. აქ ჯერ კიდევ თათქარიძეების ეპოქა სუფევს. ჯერ კიდევ გაიძახის ზოგიერთი აქაური თავად-აზნაურობა—გლეხი ძაღლის ლეკვიაო და არა ადამიანიო და სხვ. ვერ ამიხსნია, რას უნდა მიეწეროს ამდენი დროებით ვალდებული გლეხკაცობა, როდესაც ქვემო იმერეთში მათი რიცხვი, საზოგადოთ, უფრო მცირეა. ცოტა რამ სწავლა განათლების შესახებაც ვთქვათ: დიდათ ბედნიერია ამ მხრით ს. ამაშუკეთი, რადგან მაგისთანა თავ სამტვრევი არა აწუხებსრა; არც სამკითხველო, არც სკოლა. უკაცრავათ, სკოლა გახლავთ, მაგრამ ვაი მისთანა ხლებას! იგი მხოლოთ ჩაწერილია სკოლათა სიაში, თორემ თავის დანიშნულებას ძნელათ თუ შეასრულებს, რადგანაც ის მიუდგომელ და უხერხულ ადგილას არის აშენებული. იგი, ე. ი. სკოლა, მოშორებულია სოფლებზე 7—8 ვერსის მანძილით და ამიტომ უძნელდებათ ბავშებს სკოლაში სიარული, მეტადრე ზამთრობით და ცუდ ამინდებში. აქაური მასწავლებელი ჯავრით უფრო იქანცება, ვინემ ბავშების სწავლებით. ან კი ვის უნდა ასწავლოს?! ბავშები სკოლაში დიოგენის ფარნით არის საძებარი. თუმცა ბავშები ძლიერ ეტანებიან სწავლას, მაგრამ მათი მშობლები არ უშვებენ სკოლაში. ისინი გაიძახიან: ,,ჩვენ მამა-პაპასაც არ უსწავლიათ, მაგრამ კი ცხოვრობდენო!" ამ ერთი კვირის წინეთ ზოგიერთმა აქაურმა შეგნებულმა აზნაურებმა გადაწყვიტეს ამაშუკეთში სამკითხველოს დაარსება და კიდეც ადგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითქვეს მისი შესრულება. ღმერთმა ქნას ეს კეთილი საქმე განეხორციელებიოს ხსენებულ აზნაურებს! არ შემიძლია არ შევნიშნო აქაურ ფორმით სოფლის მოხელეებს, საქმით კი ვაჭრებს, რომ თავისი მოვალეობა დირსეულათ შეასრულონ. მოხელე და ვაჭარი?! ძნელი წარმოსადგენია! დროა, დრო, ამაშუკეთელებმა, ძილს თავი დავანწიოთ და აწი მაინც გამოვუდგეთ და წავბაძოთ მათ, ვინც საუკეთესო ნაბიჯი წადგა წინ ახალ ცხოვრებაში და თუ ისინი დაუღალავათ მისდევენ ახალ ცხოვრების კვალს, და თუ ყველასათვის სავალდებულო და საჭიროებათ შეიქნა სასწავლებელ-სამკითხველოების დაარსება, გონების განვითარება და შვილების აღზრდა, ჩვენც მოვკიდოთ საქმეს ხელი და აწი მაინც ნუღარ შევადგენთ გამონაკლისს სხვებში.

ვუგუ.

## მტერი ამბობს!

მტერი ამბობს, მოყვარეს კი
აბა ჰკითხეთ რა კაცია!?
თუ ღარიბი ვინმე ნახა,
ვსთქვათ, პერანგი არ აცვია,
ის მაშინვე, როგორც ღვიძლ ძმას,
ეტყვის, ურჩევს, რომ ჩაიცვას,
რომ ტიტველი გაცივდება,
თუნდ საქვეყნოთ დაიფიცავს!
მტერი ამბობს, მოყვარეს კი
აბა ჰკითხეთ რა კაცია?!
სულ კახურს სვამს წყალს, კი არა,
ისე უყვარს თვის ნაცია!
მტერი ამბობს, მოყვარეს კი
აბა ჰკითხეთ რა კაცია?!
ვითომ იყოს გულით ძვირი,
ან ლოთი, ან ზარმაცია?!
სულაც არა, დილით მიდის,
საღამოთი შინ ბრუნდება,
საწყალს ცოტა ზიფრა მოსდის
და ხანდისხან იგუდება!
მოგახსენებთ, დიდი კაცი
ვერ ასცდება ამ გვარ ჭორსა:
ვითომც თავის ხელ-ქვეითის
ისე, რაღა, ლამაზ ცოლსა...
მაგრამ, მტერი რას არ იტყვის,
ეს კი მხოლოთ თავაზაა,
ერთს კარებში ქმარს მიიღებს,
მეორეში ცოლის გზაა!
რომ იცოდეთ რა გულ-ჩვილი
და როგორი კეთილია?!
მირონს არვის არ დაუჭერს,
ასამდის მოუნათლია!
ერთხელ, ერთ ქვრივს თხოვნაზედა
სწორეთ ასე დაუწერა:
„ნამდვილათ ეს ქვრივი არის,
დამერწმუნეთ მეცა მჯერა“.
მტერი ამბობს, მოყვარეს კი
აბა ჰკითხეთ რა კაცია?!

ი. ევდოშვილი

## ჩინეთის ამბები

„დიდი მუშტი“ არ ხუმრობს — მათი პროკლამაციები ათასობით ეფინება მთელ ჩინეთს და ჩინელებიც ხმას აძლევენ, ბრძოლის ველზე გამოდიან. როგორც უკანასკნელი ცნობებიდან ჩანს, ჩიფუდან პეკინისკენ ათასობით ჩინელი მიეშურება, რომ პრინც-ტუანის ჯარს შეუერთდეს. მუკდენში ჩინელთა რაზმმა დასწვა ყველა დუქნები და მაღაზიები; დასწვეს აგრეთვე სახლი მუკდენის გუბერნატორისა, რადგან მან უარი განაცხადა უცხოელთა გაწყვეტაზე. მარტო ტაკუ და პეკინის შუა ჩინელთა ჯარის რიცხვი 57,000 კაცს აღემატება — ეს შვენიერათ გაწყობილი და შეიარაღებული ჯარია; ახლა ამას მიუმატეთ ის ათასობით ბრბო, რომელიც, როგორც ზევით ვთქვით, ყოველ დღე ბრძოლის ველზე გამოდის და ადვილი წარმოსადგენი იქნება ერთი მუჭა ევროპიელთა მდგომარეობა პეკინში და ტიანძინში, უკანასკნელში ეს ერთი კვირაა რაც სამკვდრო სასიცოცხლო ომია ჩინელთა და ევროპიელთა შორის. პეკინში კი ევროპიელთა ელჩებია მომწყვდეული და, ვინ იცის, იქნება არც ერთი იმათგანი ცოცხალი აღარ იყოს. აი უკანასკნელი ტელეგრამები რას იუწყებიან; ვაშინგტონი: — ადმირალი რემეი 3 ივლისს ქალაქ ჩიფუდან იუწყება, რომ, როგორც აქ მიღებულ ცნობებიდან ჩანს, შეერთებული ჯარი თავს დასხმია დილით 30 ივნისს ტიანძინის იმ ნაწილს, სადაც ჩინელები ცხოვრობენ. რუსებს ეჭირათ მარცხენა მხარე ამერიკის მეცხრე ქვევითა ჯართან ერთათ, მარჯ-

ვენა მხარეზე იდგენ ზღვაოსანნი.—შანხაი. 1 ივლისს მოკავშირე ჯარებმა ხელახლა მიიტანეს იერიში ტიანძინზე. მათ გაანგრიეს გალავნის კედელი და ყველა სიმაგრეები დაიჭირეს. ჩინელები სრულიად დამარცხდენ: მოკავშირე ჯარებმა დაიჭირეს ტიანძინის ადგილობრივ მცხოვრებთა ნაწილი და სიმაგრეები. დანიის სამისიონერო საზოგადოებამ 4 ივლისს დეპეშა მიიღო, რომლითაც აცნობინებენ, რომ ლიაოდუნსკის კუნძულზე გრუნგუანდუკში დანიის სამისიონერო სადგური დაუნგრევიათ. მისიონერები ჩუმულპოში შეფარებულან და გადარჩენილან სიკვდილს. – შანხაი: როგორც ჩინეთის წყაროებიდან იუწყებიან, საქმე დიდათ გაჭირვებულია, რადგანაც „დიდი მუშტი“ ამ ჟამათ სამხრეთისაკენ მიდის. ამბობენ რომ ეს ხუთივე რაზმი დიდ არხთან მდებარე ქალაქ ჩინხაუპოში მიდიანო. ხმა ისმის აგრეთვე, რომ კიუჩაუნში დიდი ბრძოლაა, „დიდი მუშტი“ მჭიდროთ შემოერტყა უცხო ქვეყნელებითა დასახლებულ ადგილებს. რუსებმა სიმაგრეები გაიკეთეს ქუჩებში. რუსთა ბანკის მოხელეებმა ფული და ფასიანი ქაღალდები პორტ-არტურში წაიღეს. — ტიან-ძინი. 5 ივლისი. დღეს მოკავშირეთა ჯარებმა მიიტანეს საერთო იერიში ჩინელებზე. ჩინელები ისროდენ 40-ზე მეტ ზარბაზნებიდან; მოკავშირეთ დიდი ზარალი მოუვიდათ. ჩინელებს წაართვეს 8 ზარბაზანი და დიდი სროლის შემდეგ გადევნეს ისინი დასავლეთ არსენალიდან, მაგრამ დღეს ქალაქში ვერ შევიდენ. ხვალ უთუოთ იერიშით მივლენ ქალაქზე.—შანჭაი. 4 ივლისი. 27 ივნისს ხანგუანში, შანჭაის პროვინციის უმთავრეს ქალაქში, მოკლულია 40 უცხოელი და 100 ჩინელი ქრისტიანი. შანჭაის მიდამოში ათასობით არიან კარგათ შეიარაღებული ჩინელები. უცხოელთა წინააღმდეგ მოძრაობა მსწრაფლ ვრცელდება შუა და სამხრეთ ჩინეთში. შემდეგ იუწყებიან, რომ პრინცმა ცინმა და სხვა მანდარინებმა, რომელნიც მეგობრულ განწყობილებაში არიან უცხო სახელმწიფოებთან, ურჩიეს რობერტ გარტს ჩაეცვა ჩინელთა ტანთსაცმელი და გაქცეულიყო, მით უფრო, რომ გარტი კარგათ ლაპარაკობს ჩინურ ენაზე, მაგრამ გარტმა უარი თქვა მარტო გაქცევაზე, რადგან სხვა ევროპიელები იქვე რჩებოდეს.

28 ივნისს გავრცელდა ხმა, ვითომ გარტი მოუკლავთ.—ტიანძინი. 1 ივლისი. უცხოელთა ჯარებს მოუკლეს და დაუჭრეს 460 კაცი.—შანჭაი. 4 ივლისს იუწყებიან ჩინეთის წყაროებიდან, რომ პრინცმა ტუანმა გამოსცა ბრძანება, რომელშიაც დანიშნულია ფასი საერთო აჯანყებისა. შანჭაიში მყოფი ჩინელები ემუქრებიან უცხოელთ დაგიშენთ ზარბაზნებს თუ უცხოელთა ჯარი დააპირებს ხმელეთზე გადმოსვლასო.



გერმანიის პავილიონი მსოფლიო გამოფენაზე.

## ჯავახეთი და ჯავახელნი.

V

(დასასრული) *)

შეუძლებელია, ჯავახეთზე ილაპარაკო და ახალ-ქალაქზე კი არა თქვა-რა; სხვა რომ არა იყოს რა, ახალქალაქი ერთადერთი სამაზრო ქალაქია მთელი ჯავახეთისა და გარდა ამისა ბევრის მხრით არის საყურადღებო. ამიტომ მეც ჩემ წერილს ახალქალაქის ცხოვრების აღწერით დავაბოლოებ. ცხოვრებაში გულ-გატეხილი არ გახლავარ, მკითხველო, ყველგან ვეძებ სანუგეშო ელემენტებს, რადგანაც ვიცი, რომ ასეთი ელემენტები ყოველთვის მოიპოვება, რაც უნდა დაცემული იყოს ცხოვრება და ხალხი; მაგრამ ჩემ ჯავახეთის აღწერაში ასეთ ელემენტებს ბლომათ ვერ ნახავდი, იქნება ახალ-ქალაქში მაინც აღმოჩნდეს, იქნება ახალ-ქალაქის ცხოვრების აღწერით მაინც ვანუგეშო შენი დაწყვეტილი გული.

— ვისთან მიდიხარ, ბატონო?—მკითხა მეეტლემ, როდესაც მაღლობზე სახლები გამოჩნდა.

— აკი გითხარი, რომ ახალ-ქალაქში მივდივარ მეთქი! ცოტა გულ ნაწყენმა ვუპასუხე მეეტლეს, რადგანაც ფიქრში ვიყავი გართული და მან კი ჩემი ოცნებობა დაარღვია.

— აგერ ბატონო ახალ-ქალაქი და იმიტომ გეკითხებით.—მიპასუხა მან.

*) იხ. „კვალი“ № 27.

ამ სიტყვების გაგონებაზე ისე გავოცდი, რომ ჩემმა მეეტლემ თვალები გააჭყიტა, პირი დააღო და შემომაჩერდა,—უთუოთ ჩემი სახის გამომეტყველებამ ისიც ძალიან გააკვირვა. როგორ შევედით ახალ-ქალაქის უმთავრეს ქუჩაზე, არ ვიცი, რას ვფიქრობდი ამ დროს, არ მახსოვს; უფრო კი არაფერზე არ ვფიქრობდი, რადგანაც ახალ-ქალაქის დანახვამ ფიქრის მადაც კი დამიკარგა.—ბატონო, ვისთან მიბრძანდებით, კიდევ გამიმეორა ჩემმა მეეტლემ და ამ სიტყვებმა გამომარკვია. მივიხედმოვიხედე გარშემო და უნებურათ წამოვიძახე:—ღმერთო, აქ სად გადმომაგდე მეთქი. სასტუმროში მიმიყვანეთქო, ვუთხარი მეეტლეს და თვალები დავხუჭე, რომ აღარაფერი დამენახა. მივედი ახალ-ქალაქის სასტუმროში, ავედი, დავათვალიერე,—მაშინვე გამოვბრუნდი უკან და მეეტლეს ვუთხარი: უკეთეს სასტუმროში წამიყვანე მეთქი. ამაზე მეტი სასტუმრო აქ არ არისო, იყო პასუხი. ასეთ ქალაქში ცხოვრება და მერე ისიც ასეთ სასტუმროში! მაგრამ მეტი რა ჯანი იყო. მომცეს ერთი ოთახი. დავალაგე შიგ ბარგი და, რადგანაც ძალიან ციოდა, მოსამსახურეს ვუთხარი, ღუმელი გახურე მეთქი, და მე კი ახალ-ქალაქის დასათვალიერებლათ წავედი. ახალ-ქალაქის ქალაქათ წოდება გივეა, ქეციან ძაღლს რომ ჰერკულესი დაარქვით, ახალ-ქალაქი რამ გააქალაქა! სოფელია? არც სოფელია. იმერეთში ისეთი სოფლები ვიცი, რომ ახალ-ქალაქს ჯავახეთიც რომ სართათ გამოატანოთ, მაინც არ გავცვლი! მაშ რა დამსებაა? იტყვის მოუთმენელი მკითხველი.—სწორეთ რომ დამსებაა! წარმოიდგინეთ ტალახში ჩადგმული ორასიოდე დაბალი, ბინძური სახლი,—აი ახალქალაქი! სახლები აქ ყველა ერთ სართულიანია, ახლა და ახლა გამოურევიათ აქა-იქ ორ სართულიანი. ბანი ყველას პტყელი აქვს—მიწური. ქუჩებში სწორეთ ტალახის მორევებია. უცხო ადამიანზე ასეთი სახლები და ასეთი ქუჩა საძაგელ შთაბეჭდილებას ახდენს. ახალ-ქალაქის მარჯვნით ხევია, ხევს გაღმა კაზარმებია, სადაც ჯარი დგას. კაზარმებს იმოდენივე ალაგი უჭირავთ, რამდენიც თვით ახალ-ქალაქს, რადგანაც აქ ორი ათასამდე ჯარის-კაცია; ახლა აფიცრები, პოლკოვნიკები. ცხენები კიდევ სხვა არის! უცხო ადამიანი რომ ამ კაზარმებს გადახედავს, ასე ჰგონია: სადგომი სახლები აქ ყოფილა და მარცხნივ (ე. ი. ახალ-ქალაქში) სამზარეულოები გაუკეთებიათო; კაზარმებში ცხენების სადგომიც კი გაცილებით უფრო ლამაზია, ვიდრე ახალ-ქალაქის სახლები! ახალ-ქალაქში ხუთი-ათასზე ცოტა მეტია მცხოვრები; თითქმის სულ სომხობაა,—რუსები და ქართველები მოხელეებს გარდა ძალიან ცოტანი არიან. ახალ-ქალაქი, ეჭვს გარეშეა, კაზარმებმა დაბადეს, რადგანაც აქ დიდი ჯარი დგას. ახალ-ქალაქის ალაგას ჯერ რამდენსამე დუქანს აშენებდენ, დუქნებს თითო-ოროლა მოსახლე მოემატებოდა; შემდეგ,





ტრანსვაალის რესპუბლიკის პავილიონი მსოფლიო გამოფენაზე.

როდესაც ახალ-ციხის მაზრას ჯავახეთი ჩამოაკლეს, აქ მოხელეებს გამოგზავნიდენ და ამ გვარათ გაჩნდებოდა შვენიერი ახალ-ქალაქი! ახალ-ქალაქში არის სამოქალაქო სასწავლებელი, უეზდის სამმართველო, ერთი აფთიაქი და აბანო, მაგრამ აბანოში იმიტომ კი არ დადიან, რომ ჭუჭყი მოიცილონ, არამედ იმიტომ რომ ჭუჭყი შეიმატონ! თეატრი, ბიბლიოთეკა? იკითხავს მკითხველი. ახალ-ქალაქი და ბიბლიოთეკა-თეატრი,—რა საკადრისია! გონებრივ საზრდოში აქ არავინ საჭიროებს, გასართობათ კი არის კლუბი, სადაც ქალები კეკლუცობენ, კაცები კიდევ ქაღალდს თამაშობენ, მერე ყველა ერთათ ვახშამს ჭამენ და სახლში მიდიან დასაძინებლათ. ცხოვრობს ახალ-ქალაქი თავისთვის, სხვას არ დაეძებს და არც იმას წუხს, თუ სხვა ამას არ დაეძებს. აქ იციან, რომ ცხრა მთას იქით თფილისია, რომელიც თურმე ძალიან დიდი ქალაქია და გუბერნატორიც იქ ცხოვრობს. გაუგონიათ, რომ სადღაც, რაღაც ევროპა არსებობს, მაგრამ სადაური ხურმაა ეს ევროპა, არც იციან, არც ცდილობენ მაინცა და მაინც გაგებას.—აი დარდი! რატომ ახალქალაქმა უნდა გაიცნოს უმალ ევროპა და არა ევროპამ ახალ-ქალაქი? ევროპაში ახალ-ქალაქი სრულიადაც არ საჭიროებს,—ამას დამოუკიდებლობა, ინდივიდუალობა უყვარს და კიდეც ცხოვრობს ასე.—თუ გნებავთ, მიბრძანდით და გაიცანით, მაგრამ ახალ-ქალაქმა რომ ვინმე გაიცნოს, რითიმე დაინტერესდეს,—ოოჰ, არასოდეს!

ახალ-ქალაქის მყუდრო ცხოვრებას ორი გარემოება არღვევს ხოლმე: ჩინოვნიკებისთვის მთელი ეპოქაა უფროსისაგან რაიმე ქაღალდის მოსვლა, არა ჩინოვნიკებისთვის უცხო კაცის წვევა. აი მოუვიდა აქაურ უფროს ჩინონიკს თავისი უფროსისაგან, ვთქვათ თფილისიდან, რაიმე ქაღალდი; მოწიწებით იღებს ხელში, როგორც ღრმა მორწმუნე ღვდელი წმინდა საიდუმლოს, და მყისვე გზავნის მოსამსახურეებს ყველა დანარჩენ ჩინონიკებთან, სულ ერთია რა წყებისაც უნდა იყვენ ისინი: დაუყოვნებლივ აქ მობრძანდით, ფრიად საჭირო საქმეაო. ერთი საათის განმავლობაში ყველა თავს იყრის. უფროსი ჩინოვნიკი აჩვენებს ყველას მიღებულ ქაღალდს, შემდეგ ხსნის და ხმა-მაღლა კითხულობს. ამას შემდეგ შეუდგებიან ხოლმე თათბირს, როგორი პასუხი მივწეროთო, და, საპასუხო სულ რომ არა იყოს-რა, ეს თათბირი ხშირათ კარგა ხანს გაატანს ხოლმე. ასეთ თათბირის დროს ყოველგვარი ზომაა მიღებული, რომ თვითოეულ სიტყვაში გამოხატული იყოს მათი სრული მორჩილება, რომ ყოველი სიტყვა უფროსს იამოს; პასუხის თავში მაღლობა აუცილებელია, როგორი შინაარსისაც უნდა იყოს უფროსის ქაღალდი. ამას შემდეგ თავისი მოვალეობის ასრულებით ფრიად ნასიამოვნები ყველა თავ-თავის სახლში მიდის და შინაურს და გარეულს ყველას უამბობს, თფილისიდან ასეთი შინაარსის ქაღალდი მოვიდაო. ამ გვარათ ქაღალდის შინაარსი მეორე დღეს მთელმა ქალაქმა იცის.

გაჩნდება თუ არა ვინმე უცხო კაცი ახალ-ქალაქში, არა ჩინოვნიკები მაშინვე შეატყობენ ხოლმე: ეს აქაური არ უნდა იყოსო, და დაუწყებენ ფრთხილათ თვალიერებას. თუ ვინმე წინ შემოგხვდათ, შორიდანვე გაჩერდება და დაგიწყებსთ ჩხრეკას; ქუჩაში რომ მიდიხართ, ყველა თქვენ მოგჩერებიათ და ამავე დროს ერთმანეთს ელაპარაკებიან. ამ გვარ მდგომარეობაში არიან არა ჩინოვნიკები თითქმის ერთ-კვირეს და აქ მოსული უცხო ადამიანი საძაგელ მდგომარეობაში ვარდება; როდესაც ხედავთ, რომ ყველა თქვენ მოგჩერებია და თქვენზე ლაპარაკობს, როგორღაც უხერხულობასა გრძნობთ. ერთი კვირის შემდეგ, თუ კი მეტს დარჩით, ყველა მოგეჩვევათ და თავისიანათ ჩაგთვლისთ. გაიცნობთ თუ არავის გაიცნობთ ამ დროს განმავლობაში. სულ ერთია: ერთი კვირის შემდეგ ვინც შემოგხვდებათ, თითქმის ნახევრობა თავს გიკრავსთ, და თუ ერთი ვინმე გაიცანით, ყველა მისი ნაცნობი და მეგობარი თავის ნაცნობათ გთვლისთ. რამოდენიმე დღის ახალ-ქალაქში ცხოვრების შემდეგ მომინდა ჩემი შთაბეჭდილებანი დატოვებული მეგობრებისთვის გამეზიარებია. დავწერე ორი წერილი და წავიღე ფოსტის ყუთში ჩასაგდებათ, რომელიც ჩემი ოთახიდან ახლოს იყოს; ავწიე ყუთის თავი და ის იყო, უნდა ჩამეგდო წერილები, რომ ამ დროს მომესმა ძახილი: ეი, ეიო და იქით მივიხედე.

— ამ იაშიკიდან წიგნი ვერ წავა! დამიძახა კარტუზიანმა სომეხმა.

— რატომ ვერ წავა? ვკითხე გაოცებულმა და ვიფიქრე: უთუოთ შემატყო, რომ აქაური არა ვარ, და საცინათ აგდება უნდა მეთქი.

— ეს იაშიკი რამდენი ხანია აქ არის, მაგრამ აქედან წიგნებს არავინ არ იღებს! მარწმუნებდა სომეხი.

— მაშ როგორ გავგზავნო წერილები? დავეკითხე მე.

— აგერ ფოშტა, მიმითითა მან და მეც ფოსტაში წაველი:

როდესაც ვკითხე ფოსტაში, მართლა არ იღებთ წერილებს ყუთიდან მეთქი, მიპასუხეს: არ ვიღებთ, რადგანაც იქ წერილს არავინ არ აგდებს და ყველას აქ მოაქვსო. რომ იმ სომეხს არა, ჩემი შთაბეჭდილებანი დღესაც ფოსტის ყუთში იქნე-

ზოდენ და მე კი დარწმუნებული ვიქნებოდი, რომ ჩემ წერილებს ჩემი მეგობრები კითხულობდენ და ახალ-ქალაქის სიშვენიერით ტკბებოდენ! დაგჭირდათ მაგალითათ კორესპონდენციის გაგზავნა რომელსამე გაზეთში. ფოსტის მოხელე მაშინვე ჩახედავს თავის კანონებში და თქვენ ხელთნაწერს ისევ უკან გიბრუნებსთ: ხელთნაწერის შესახებ აქ არაფერი წერია და ამიტომ კონვერტში ჩადევით და ისე გაგზავნეთო. კონვერტში ჩადება კი ხუთი ზომით მეტი ხარჯის გაწევას ნიშნავს.

თქვენ უმტკიცებთ, უსათუოთ უნდა ეწეროს, სხვა ალაგებიდანაც გამიგზავნია ხოლმეო, მაგრამ ის თავისას არ იშლის. თქვენ იძულებული ხართ, ფოსტის უფროსს მიმართოთ, და მხოლოთ მაშინ თუ ეღირსება თქვენ ხელთნაწერს გაგზავნა. ტელეგრამა რომ ვინმემ გამოგიგზავნოსთ ახალ-ქალაქში, მხოლოთ ორი კვირის შემდეგ თუ მიიღებთ! სხვას რომ ეთქვა ეს ჩემთვის და მე თვითონ არ დამმართნოდა, არ დავიჯერებდი. ბოროტი ენები ლაპარაკობენ: ფოსტაში რომ წერილი მიიტანოთ, თქვენი თვალის წინ უნდა დააკვრევინოთ შტემპელი მარკაზე, თორემ წერილი დაიკარგება, მარკის მსხვერპლი გახდებაო. რამდენათ ანგარების მოყვარე გახდა ჩვენი დრო! გოგოლის ფოჩტმეისტერიც ხსნიდა სხვის წერილებს, მაგრამ ამას ცნობის მოყვარეობით შვრებოდა, აქ კი შვიდ კაპეიკიანი მარკის გულისათვის იკარგება თურმე წერილები, მაგრამ ამ ჭორს მხოლოთ ბოროტი ენები ავრცელებენ და ჩემი თვალით კი, მართალი გითხრათ, არ მინახავს და ცოდვასაც ვერავისას ვიტყვი!

ორიოდე სიტყვას ახალ-ქალაქის ინტელიგენციაზედაც ვიტყვი და მშვიდობით, მკითხველო!

ახალ-ქალაქის ინტელიგენცია იგივე ჩინოვნიკობა არის უმეტეს ნაწილათ. მივარდნილ კუთხეში ცხოვრება ყოველ ადამიანს დააჩენს ხოლმე კვალს და ახალ-ქალაქს აქაური ინტელიგენციაც თავის გამოვენებაზე გარდუქმნია. მოგეხსენებათ, ახალქალაქი მივარდნილი მხარეა, ეს თავისი საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს, სხვა არაფერი აინტერესებს. ამისი მხედველობის ჰორიზონტი მეტის-მეტათ ვიწროა; თავისი სამსახურის გარეშე ვერავინ ვერაფერს ხედავს; თვითოეული, როგორც მაშინა, ისე ასრულებს თავის სამსახურს და აღსრულებული მოვალეობით სრული კმაყოფილია. ასეთი კითხვები: ეთანხმება თუ არა ჩემი მოქმედება ადამიანის ღირსებას, კაცობრიობის საზოგადო იდეალსო, აქ არავის არ მოსდის თავში. შენ სამსახურში ხარ, ამისათვის ჯამაგირს იღებ, მაშასადამე მონა უნდა იყო შენი სამსახურისო, ფიქრობს აქ ყველა.

ასეთ ვიწრო ატმოსფერაში აქაურ ინტელიგენციას აზროვნებისა და ფიქრის უნარი დაჰკარგვია. გონებრივი ინტერესები აქ სრულებით არ არსებობენ, გონებრივ საზრდოში აქ არავინ არ საჭიროებს, ყველას საღათას ძილით ძინავს. აქაური ინტელიგენციის ხელობა მხოლოთ სამსახურია, ქეიფი და ქაღალდის თამაში! ღვთის წინაშე თრობა არ უყვარსთ, — მხოლოთ შეზარხოშდებიან ხოლმე! ქაღალდის თამაშზე ხომ შეშლილი არიან, ყოველ საღამოს გახურებული თამაშია უბნა-უბნათ!. ასეთ მიძინებულ ქალაქში ასაღელვებელი, გულ-მოსასვლელი არავის არა შეემთხვევა რა ხოლმე, გონებრივი მუშაობა სხვა-და-სხვა ფიქრით გულს არავის უტოკებს და ამის გამო აქ ყველა ნამეტანი გულ-კეთილია, იმდენათ გულ-კეთილი, რომ ერთი მეორეს სახელს კი არ უძახიან, — არამედ „დუშკას“! ეჭვი არ არის, რომ ყველა ესენი მარტო გულით კი არა გონებითაც კეთილი იქნებიან: ყველას ექნებოდა პატიოსანი მისწრაფება, იდეალები, მაგრამ ახალ-ქალაქში მისწრაფება და იდეალები ვერ გაიხარებენ; გარეშე ცხოვრება ისეთია, რომ აქეთ გადმოგდებული განათლებული ადამიანი ან უნდა გაგიჟდეს, ან თავი უნდა მოიკლას, ან თავის გულს შეასკდეს ჯავრით, ან და ქეიფსა და ქაღალდის თამაშს დაეწაფოს, რომ ყოველისფერი დაივიწყოს. სიცოცხლე ყოველისფერს ჯობია და აი ამიტომაც აქაურ ინტელიგენციას უკანასკნელი გზა აურჩევია.

ივ. გომართელი.

# მოღალატე ძაღლი

I



თის ფერდოზე ცხვრის ფარა დაფენილა და თეთრი სარდაფის ღილებივით აუჭრელებია მწვანე ბალახი. ცხვარს წინ მიუძღვის ძაღლი, ბოლოზედაც მყეფარი მისდევს. ცხვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი რომ ძოვაში შეჩერდება, ძაღლებიც დაცუცქდებიან, თვალს მიმოავლებენ არემარეს, დააცქერდებიან ერთმანეთს, გაჰხედავენ მწყემსს; თუ მშვიდობიანობაა, კიდეც დაამთქნარებენ, ჩაწვებიან და წინა ტოტებზე თავდადებულები მიჰრულვენ. მწყემსს თვითონ სათავე დაუჭერია. კარგ ამინდში ამას დიდი შეწუხება არა აქვს; ყველაფერი თვალიოა ჩანს, რა აშინებს? ძაღლებიც კმარიან ცხვრის მოსავლელათ—რა აწუხებს? ამ დროს ის სწორეთ სამოთხის ნეტარებაშია; რა სანახავი უნდა, წინ არ ედოს: მთა და ბარი ხელის გულივით გადაშლია; ქართლი და კახეთი ცხადათ მოჩანს, ის ქალაქი იქნებაო, იტყვის: „ის ბაზალეთის ტბა", ის თელავიო; ის კიდე თრიალეთი უნდა იყოს და ა—აგე იქ კიდე შირაქიო". მთებში ხომ შიგ არის. თუ ხშირი და მაღალი ბალახი ასხია, რა სამოთხებრ ღაღანებს მაშინ ტურფა ფერდობი მთისა! და მერე, თუ ნიავმაც შემოისისინა, უნდა ნახოთ, რას იზამს ისა! ქვევიდან მელეური*) ამოუდგება, დაფრთხება წალკოტი და ირმის ხროსავით წყობა-წყობა დაუწყებს გადადენას ბორცვებს და გორებს!

წერა მოგხადეთ, მთებო მაღლებო! ვისა ჰგონია, რომ გული დაუფასებელი სიმდიდრითა გაქვთ სავსე და გარეგნობა ქალწულებრივი სინაზე, სიკეკლუცითა?!.

რა შეედრება სამყოფათ ზაფხულობით კაი ტაროსობას მთებსა და რა საამო საშინჯავებია ისინი ამ დროს, მაგრამ მეცხვარეს მოწყენილიცა აქვს ეს სიტკბოება; მალ-მალ გაგორდება და ძილს მისცემს თავსა. რა ქნას? ძილი სტეხს ყელსა, უფხიზლნია ღამე. ცასაც გაჰხედავს მეცხვარე, გულალმა მწოლარე! უყვარს მისი საიდუმლოთ შეკრული კამარა. ახ, ნეტამც აცოდინა, იმის იქით რაღაა? უყვარს, დიახ, მთაცა და ცაცა, მაგრამ, თუ პატარაც არის ღრუბელი და ნისლი დაინახა სადმე ამომტყვრალი, გული ულონდება; აგონდება ავდარში გულის გამანადგურებელი სევდა ზორბა მთებისა. იცის, რომ დღე-ღამე მასაც შეწუხება მოელის წვიმისა და ნადირისაგან.

*) მელეური—ნახჭვა, ღელვაა ბალახისა, ყანის თუ ზღვისა.

## II

შორს, შორს მესამე, თუ მეოთხე გორის ფხიდან მგელი თვალ-ყურს ადევნებდა ცხვრის ფარას, რომელიც ხან ღრუბელივით ჰცურავდა მთაზედ, ხან ხეობებში იმალებოდა და ჰქრებოდა. როცა ცხვარი ღელეს გავიდა და ფერდო გაიარა, მგლის პირდაპირ სერზე უწინ თხა-ვაცები გადაეყუდა. მგელი მაშინვე ჩაწვა, მიწას გაეკრა და უცქერდა იქით ყოვლის შთამთქმელის თვალით, თავლაშს აწუხებდა, ჰტოკავდა; ხან წამოჰკვინტდებოდა და გადმაიყელუჰნებდა, მერე გველივით ისევ უკან გადაეწყვეტებოდა და დაბლა დაეშვებოდა. ამ დროს მყეფარიც გამოჩნდა, მგელს თავზარი დაეცა და გამოურკვეველის ცეცხლით აელეწა გული და დრუნჩი. მაშინ სრულიად მიწას გაეგლისა, თვალებ-გადმობრუნებულს, თავი გაუშეშდა და საგონში ჩავარდა. ფიქრობს და რას ფიქრობს? უნდა, რომ ცხვარიც და ძაღლიც მას ეკუთვნოდეს. ცხვარი ჰო, მაგრამ ეს ძაღლი რაღა ვარო?.. აქამდე ან კი მოჰგონებია, რომ ის ძუკნაა? რატომ მეორე ძაღლიც არ ახსოვს? მხოლოდ იმან რათ მიიპყრო მისი გული და გონება? ბევრი რამ გაახსენდა, ბევრი რამ გაითვალისწინა, შეეყარა საგონი ერთათ, თავი დაბლა დადო და გაეხვია ფიქრში: უნდა გამოიცნოს, რით დაისაკუთროს ცხვარი და ძაღლი? ჯერ შავი და ბნელი იყო და ახლა ხომ სრულიად ჯოჯოხეთი გადაეფარა მის არსებას. იწვა, იწვა კარგა ხანს ასე, მერე თავი ასწია: და თქვა: ჰო, ახლა მე ვიცი, ვამოვიცან, რაც მოხერხდებაო!!. თან დამცინავი ღიმილით მეცხვარეს გაჰხედა, რომელიც გორაზე წამომჯდარა, გუდა მოუხსნია და ძაღლებს ეძახის: „ტუგი, ტუგი! აქა, აქა!" იმათ ყურები ცქვიტეს და ყეფა წკმუტუნით მიულაქუცეს. პატრონმა მოიგლოთნა და თითო კიდეც აკოცა სველ ნესტოებზე. გუდას მოხსნა; ამოიღო პური, გახლიჩა, ჯერ ძაღლებს გადუყარა და მერე თითონ დაუწყო ჭამა. მყეფრებმა თავთავიანთი კერძები გააქციეს და ისევ ფარას ამოუდგნენ. რა ისაუზმა, მეცხვარემ სტვირი ამოიღო, სასკივარები დაუშინჯა, გაურთო, ქარასხაში ლერწმები დაამაგრა, გუდაში ჩასო და დაუკრა. თიკნებმა თამაშობა იწყეს. ბატკნებმა ქი-

ჩაობა, ვაცებმა და ყოჩებმა ქიდაობა გამართეს. ძაღლები წამომსხდარან და სიამოვნებით შეჰცქერიან.

ახ, რა ეზიზღება მგელს მაშინ მწყემსიც, ცხვარიც და ძაღლებიც! ღმერთო! რათა? თვითონაც არ იცის.—ალბათ იმიტომ, რომ მგლურათ ფიქრობს: მეცხვარე და ძაღლები ცხვარს არ ანებებენ; თხა, ცხვარი კიდევ არ ეჭერინება, გაურბის. მგელს ცხვარი თავის საზრდო ჰგონია და მწყემსი ყარაულებით მოვალე არიან მის დიდებულებას ულუფა აძლიონ.

მგელმა ვეღარ გაუძლო ამ სანახაობას, უკან-უკან გაძვრა, კიპიტჯს ამოეტოლა, ფრენით აუდგა აღმართს და შეუმჩნევლათ გადაეფარა მთის იქით.

III

რას ჰჩადის მგელი?

ჯანღიანი ღამეა და ისე ბნელა, რომ წინ მდგომარე მთაც არ ინახვის. ძაღლები თეოს უწვანან; მეცხვარე ჯოხზე დაყრდნობილი თვლემს. მგელს უთქვამსო, იტყვიან: „შავს ღამეს, შავს ზღვაში შავს ბეწვსაც ვხედავო“, ეს ხომ ასეა და ადამიანის თვალების ნაკლიც კარგათ იცის. ამიტომ სათარეშოთ უკუნეთ ღამეებს ამოირჩევს ხოლმე. ახლაც ის ნიშანში ამოღებულ ცხვარ-ბინას ეთელება, მიმოუვლის. ხშირ ძილის პირისას ზედაც მიატანა. ძაღლები წამოუხტნენ და კნასკნასით ეძახდენ. მეცხვარემ დაჰკივლა და თოფი დაახალა. მგელი ხელცარიელი დარჩა, გაიქცა და ისე რბის რომ ძაღლები ეწევიან, ლეგა ქედანას**) ერჩის, მაგრამ რა ქალიკურა***) ეძგერება, გაეგლიჯება მხოლოდ და ხვადს გაემბის. ქალიკურა მგლის ღმობიერებას ჰხედავს, მაგრამ არ ენდობა, ერჩის და უტევს გააფთრებული. ეს ჯამბაზობა მგელმა ვინ იცის, რამდენჯერ ითამაშა?

მგელმა მერე მოქმედება შესცვალა და ახლა იმ დროს მიუხტა მწყემსს, როცა საწველი ცხვარი გარჩეული ჰყავდა და ქედანა ბატკნებთან იყო. ქალიკურა გამწარებული ეცა. მგელი გაუგორდა. ძაღლი ზედ წააჯდა და შეუბრალებელი ფეთა დაუწყო. მგელი წამოუხტა და სამ-ოთხჯერ წაატ-ცია ძაღლი, მაგრამ კბენით არამც თუ არა დაუშავა რა, ერთი ნამცეცი ბურტყლიც არ ამოუგლეჯია,—რა არის: მე ვაჟკაცი ვარ, შენ ქალი და რა ჩემი შნოა გეშუღლოო?

მგელმა სიარული დაიწყო და შეუჩნდა ძაღლს, მაგრამ ის არ ენდობა; ძაღლი ერჩის, მგელი უთმობს; ძაღლი ეხნუება, მგელი ეხუმრება; ძაღლი ეტევება, ის ეთამაშება და მერე, რა კრძალვა, მოწიწებით იქცევა ამ დროს! რა ტრფიალება, სიკისკასით გაექც-გამოექცევა; რა უმანკოებით მიუტანს პირთან პირს და რა ბავშური სიცელქით ეტოტავება და გადაახტ-გადმოახტება!

უბედური ძაღლი! იხიბლება მის ყოფაქცევით, ნდობა მისი ეპარება გულში. ეს მგელმაც შეატყო და ახლა სხვა ოინები დაიწყო. რამოდენიმე ხნის უკან ძაღლი შორს გაიდევნა და შამბნარში ყელ-გამოჭრილ ცხვარს მიაყენა. ქალიკურას უწინაც ენახა ამისთანა კერძი, ახლაც მოუნდა, მაგრამ ვერ გაბედა. მაშინ მგელი თვითონ მიადგა, რაც უნდოდა, შეთქიფა და უკან დაიწია: „მიბძანდი, ქალბატონო, შეექეც, არ გაგიჯავრდებიო“. ქალიკურაც ცოტა ტორტმანის შემდეგ მივიდა, ჯერ დასუნა და მერე კიდეც შეექცა.

ასე: მგელი მასპინძლობს, ქალიკურა მიჰყვებ-მოჰყვება, უხვ პატივისცემაზე მადლობელია. მგელი აღტაცებულია: ეწია რაღა წადილს გულისას. მხოლოდ ერთმა გარემოებამ კიდე დააფიქრა და გააგებინა, რომ ჯერ ძაღლი იმას სრულიად არ ეკუთვნოდა .. ახლა რა მოხდა.

ერთხელ, როცა ქალიკურას ლეშისთვის პირი უნდა წაევლო, უცებ შედგა, კუდი ამოიჯიჯიტა, ბეწვი აჯაგრა და მგელს უკმაყოფილოთ შეხედა: ეს ხომ ჩვენი ცხვარიაო! ამოიძუა კუდი, მოსწყდა და გაიქცა ბინისკენ; დაწვა, თავის ლოგინზე; მაგრამ რაღაც აწუხებს: ვეღარც პატრონს უცქერის, როცა ის ნიგუზლებს წაუკეთებს და ცეცხლი აჯღინჯლიღდება, და თვალებსა ხუჭავს.

IV

ამ შემთხვევის უკან მგლის გაწვევას ქალიკურა რამდენჯერმე აღარ გაჰყვა. მაგრამ მერე, ისევ სულმა წაჰძლია და გამოუდგა. მგელი ვაცის ხორ-

**) ქედანა—ხვადი ძაღლის სახელია.

***) ქალიკურა —ძუკნა ძაღლი.

ცით გაუმასპინძლდა და მერე ჩვეულებრივი თამაშობა-ხუმრობა დაუწყო. ქალიკურა ისე გაიტაცა მისმა ალერსმა, რომ იმ დროს სუყველაფერი დაავიწყდა, და ისეთი ცოდვა ჩაიდინა მგელთან, რაც აქამდე არ ექნა... როცა გონათ მოვიდა, მაშინღა გაითვალისწინა მგელთან ნაქნარი უკეთური საქციელი. საჩქაროთ გაბრუნდა შინისკენ წასასვლელათ, მგლისთვის აღარც კი მიუხედნია, რომელიც ნიშის გზით შეცქეროდა მის თეთრს, დაშვებულ კუდსა და გულში ამბობდა: ,,ამფერ, ძაღლან! ვნახოთ, თქვენებიანთ ცხვრის ხორცს ამიერიდანაც კი იუარებთ''.

უბედური ძაღლი!

V

ქალიკურა ბინაზე გათენებისას მივიდა. მაშინ, როცა პატრონს მისას ძაღლებისთვის სასვარი გაეკეთებინა და ეძახდა: ტუგი, ტუგი! ჭამე, ჭამე, აქა! ,,ქედანა მივარდა, მიჰყვა ქალიკურაც, მაგრამ რაღაც უხერხულათ,—იხლართება სიარულში. ,,ჭამე, ჩემო ქალიკურ, ჭამე ჩემო კარგო'', ეუბნება პატრონი. მაგრამ რაღა ჭამოს, ქედანას კიდეც გაუთავებია. საალერსო სიტყვების გაგონებაზე ის მობრუნდა, მიულაქუცა პატრონს, აეტოტავა და პირზე ენა მოუსო. იმას ეწყინა და შეუტია: ,,ჰო, შენმა ოხრობამ, არა ჭამე რა, რომ კიდე მეფერები. თათა! ზედ არ მომასხდა ეს საოხრო! გასწი თეოზე! ცოდო არ არის შენ ქალიკურას ტოლი ხარ? როგორ პატარძალივით ხათრიანია ჩემი ტუგრი'', თქვა პატრონმა და სიყვარულით ხელის სმა დაუწყო. აქამდე თავდაღუნულმა ქალიკურამ მაღლა თავი აიღო, შეჰხედა პატრონს, დაიჭყანა, თითქოს უცინისო, და თამამათ მიუქიცინა. ქედანა ამ დროს ჰწვდა ქალიკურას, ჩაიდო ქვეშ და კინაღამ დაახრჩო; ძლივს გააშვებინა პატრონმა

— ,,გიჟია ეს ბაითალმანი, ამბობდა ისა: ,,რა ეშმაკმა შეშალა? ეს ერთი წელიწადია სულ ერჩის ამ ძაღლსა. ვის გაუგონია ხვადი ძუს ამას უშვრებოდეს? ახლაც ხომ გაათავებდა, აქ რომ არ დავსწრებოდით''.

VI

ბოლოს და ბოლოს მგელმა ხშირათ დაიწყო ტანება და უზარალო ცხვარი მწყემსებს. ქალიკურას პატრონს ბაქსოს სხვა ამხანაგიცა ჰყავდა მეცხვარე. რა ერთი ხანია იმან უთხრა: ,,ბიჭო, იმ დღეს ქალიკურას მგელი ეთამაშებოდა და დაიცა, თუ ხვადია, მაგ სახე-ძაღლმა ეგ მყეფარი არ შეიჩვიოს და ცხვარი არ დაგვიღუპოსო. როცა ნადირისაგან ცხვარმა ზარალობა დაიწყო, ბევრჯელ კიდევაც აუტყდა: ,,ე ძაღლი მოვიშოროთ თავიდან, გამიგონე, თორემ ხელცარიელებს გაგვიშებენო. მაგრამ ბაქსო ჯიუტობდა: ,,რას ამბობ? ვის გაუგონია ძაღლი მგელს დაჰზავებოდესო?'' თომა არ ენდობოდა და, როცა ქედანა სხვა ბინაზე იყო ხოლმე, ქალიკურაზე ბეჯითათ თვალყური ეჭირა. ერთხელ დილაზე დიდი ერკემალი მოიკითხეს. აღარსად ძაღლი ჩანდა. თომამ ამხანაგი ცხვარს. გააყოლა, თითონ თოფი გადიკიდა და წავიდა საძებნელათ. სამი-ოთხი საათის უკან ისევ ბინაზე დაბრუნდა, სადაც ბაქსოს საწველი ცხვარი უკვე მოერეკა და უთხრა: აბა, წამო, რა გაჩვენოო''. ისიც გაჰყვა. თომა გაუძღვა. ჩაატარა ჩუმათ ბურღლიან-ჯაგიანები და ერთი ადგილიდან ქვევით ჩაახედა, ბაქსოს მთლათ სიკვდილის ფერი დაედო. ხედავს, რომ ბექის ძირას მისი ქედილა გაძაბულა, აქეთ მგელი უდგას, იქით მისი ქალიკურა და არხეინათ მიირთმევენ. ამის დანახვაზე ბაქსო ისე გაბრაზდა, რომ კინაღამ ხანჯლით გადაეშო, მაგრამ ამხანაგმა შეაყენა: ,,ხანჯლით რომ გარბიხარ, განა ძროხა და კამბეჩია, იქ მოგიცადოს? აჰა თოფი, დაჯე და ესროლე, თუ აღარ დაგიშლიაო.—მგელი წავა, ძაღლი ხომ იქ დარჩება? ჯავრიც მაგისა მჭირს უფრო.

— ძაღლი ისეც არსად წავა, შინვე მოგივა. მაგის ჩახრჩობას, შვილოსა, რა დიდი ჭირი უნდა. საქმე იმის მოკვლაა, იმ ყურდაუჭრელისა და.

— მგელი მაინც მტერი იყო. ჩემი დაღუპვის მეტს რას იფიქრებდა? ამ ჩემმა ძაღლმა რათ მიღალატა, რათა? ვაიმე, გული დედი! და ბაქსომ კინაღამ ტირილი დაიწყო.

— კაცო, განა ბალღი ხარ, რასა შვრები? არა, ბიძია, შენ თოფი აქ მომე; იგეთი ხარ, რომ მგელს კი არა და მთასაც ვერ ამოიღებ ნიშანში; მე ვესვრი და უცქირე, რა დღე დავაყენო მაგათ''. მაგრამ ბაქსომ არ დაუჯერა. გინდა თუ არა მე უნდა ვესროლოო. ,,მაშაო, თომამ უთხრა: თოფი აქ მომე, ჯერ მე გავხედო ნიშანში, ჩანან თუ

არაო". ბაქსომ თოფი მისცა. თომა მიცურდა, გადაჰყო პატარა ჰუჰრუტანიდან თოფის ტუჩი, გარშემო ბალახი და ფოთოლი, თუ იყო რამე დამშლელი, მოწიწკნა და მერე დაუნიშნა. „იჲ, რა ლამაზათ ეხედნებიან ერთმანეთს! თუ ივარგე, ორნივ ერთის ტყვიით დაიხოცებიანო, წაჰჩუფნა: „მოდი ესროლეო" თითონ უკან გამოძვრა. ბაქსო თოფს მიუწვა. ნიშანში გახედ-ვა და თოფის გავარდნა ერთათ მოხდა. დაიღავ-ღუვა და ამოიქირა ფეხები მგელმა.

— დაიწკავწავა და ძაღლიც იქ გაიშხლართა.

მეთოფეებს სიცილი აუტყდათ. უბედური ძაღლი!

1900 წ. ბაჩანა.

## წერილი რედაქციის მიმართ

ქ-ნო რედაქტორო!

თქვენი პატივცემული გაზეთი „კვალის" მე-25-ე №-ში ბ-ნი იანტე პროტესტს მიწევს, ვითომდა ჩემ წერილში (იხ. „კვალი" № 22 ს. აბაშა) ს. აბაშის მცხოვრები ადმენიშნოს 3008-დან—4008 კომლამდე, რომელიც მე სრულებით არა მქონია აგრე. ჩემ წე-რილში 380-დან 480-მდე უნდა იყოს, ეს უეჭველია კორექტურული შეცდომაა. უმორჩილესათ გთხოვთ ეს შეასწოროთ და ამით მიხსნათ ბ-ნი იანტეს სარკაზმიდან.*) ამისთანა შეცდომებს თუ მივაქციეთ ყურადღება ბ-ნო იანტევ! რომელი მე 28 №-ში იყო ჩემი წერილი მო-თავსებული? იქნება თქვენ მოგივიდათ მე-28 № „კვ.", მაგრამ როგორც გეტყობათ, თვის რიცხვს გაზეთის ნომრიდან ვერ არჩევთ (№ 22—მაისი 28). ბ-ნ იან-ტეს მგონი არც კი გაუგია ჩემი წერილი და ამისათვის გთხოვთ გაიგებიოთ: მე ჩემს წერილში სრულებით არ მიხსენებია სამინისტრო სკოლა, არამედ მე ვლაპარაკობდი სამრევლო სკოლაზე. რაც შეესება იმას, რომ—„ყვა-ვილი ს. აბაშაში 1899 წლის ივნისში შეწყდა სხვა-და-სხვა საშუალების გამოვო", ძალიან ცდებით. რაზე არ იფიქრეთ რომ სიმართლე თავისას გაიტანდა! განა ჩვენ სოფელში ამ წლის (1900) მარტში არ ყოფილა ყვა-ვილი 1899 წლის ნოემბრიდან მოკიდებული? ამას თუ გნებავთ და თქვენსას აიხირებთ მზათა ვარ ყველაფერი ეს მოწმით დაგიმტკიცოთ, და ახლა კი მეტი ლაპარა-კის ნებას გაზეთში უადგილობა არ გვაძლევს, ესეც ნა-მეტანია.

დავშთები თქვენი ერთგული ქირისუფალი „ალ. გუჩაია"

*) ბ-ნ გუჩაიას წერილში მართალი კორექტურული შეცდომაა, 3008—4008 მაგიერ უნდა იყოს 380—380.

სამოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო
ნახატებიანი გაზეთი

„კ ვ ა ლ ი"

გამოვა 1900 წელსაც ყოველ კვირაში ერთხელ
ერთიდან სამ თაბახამდე

იმავე პროგრამით როგორც 1899 წელს.

რედაქციისაგან: ახალი წლიდან „კვალს" შემ-მატება პროგრამას ყველა განყოფილებები, რისთ-ვისაც შედგა მუდმივ თანამშრომელთა წრე.

გაზეთი წლიურათ ღირს გაუგზავნელათ 7 მანეთათ, ხოლო გაგზავნით 8 მან. ნახევარი წლით გაუგზავნელათ 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მან. სამი თვით გაუგ-ზავნელათ 2 მანეთ., გაგზავნით 2 მ. 50 კ. თითო ნომერი სამ შაურათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება თფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში" (*Дворцовая ул. д. зем. банка № 101* და თვით „კვალის" რედაქციაში, არტილერიის ქუჩა, № 5, კორპუსის ახლო.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „КВАЛИ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ თავის თანა-და-სწრებით ივლისის 20 დილის 12 საათზე მოხდება ახა-ლი ვაჭრობა საქალაქო მამულის იჯარით გასაცემათ, იმის მაგიერ, რომელიც წინეთ არ შედგა, მეშვიდე უჩასტკაში, ავლაბარში. ზომა მიწისა 23 საჟენია, სადაც საკუთრათ გაჯი ითხრება. იჯარით აღების მსურველთ შეუძლიათ პირობების შეტყობა ქალაქის სამმართველოს მეოთხე განყოფილებაში, ყოველ დღე დილის 8 საათი-დან შუადღის 12 საათამდე. (1 – 3)

## ქალაქის თვით-მმართვე-ლობა

ამით აცხადებს, რომ საავარაკო სახლი ბორჯომში, რომელიც ეკუთვნოდა აბესალომოვს და ახ-ლა ტფილისის ქალაქის საკუთრებაა იძლევა ქირით დაკ-ლებულ ფასათ. სახლი ორ სართულიანია, ზემო სართულ-ში 4 ოთახი და ქვემოთ 5. პირობების შეტყობა შეიძ-ლება ქალაქის სამმართველოს მეოთხე განყოფილებაში, ყოველ დღე დილის 8 საათიდან შუადღის 1-ლ საათამ-დის. (1—3).

## ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა III მორიგი კრების გასარჩევ საქმეთა

# პროგრამა.

კრება დანიშნულია ამა 1900 წლის 26-ს ივლისს, ქუთაისში, კავკასიის სამთო სამმართველოს უფროსის თანაშემწის, სტატსკი სოვეტნიკის შ. ი. ჩენგერის თავმჯდომარეობით.

1) არჩევა კრების მდივნისა.

2) განხილვა ანგარიშებისა: კრების რჩევისა, ვაგონთა დამნიშვნელის კომიტეტისა და ფულის შემოსავალ-გასავლის შემამოწმებელ სარევიზიო კომისიისა.

3) ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.

4) ქუთაისის გუბერნიის გამგეობის მიერ ჭიათურის ქსენონის გადაცემა შავი-ქვის მრეწველთა კრებისათვის და მადნის მუშათათვის მუდმივი საავათმყოფოს გამართვა.

5) ადგილების შეძენა კრების საჭიროებისათვის და კრებისთვის საჭირო შენობების აგება.

6) შორაპნის შავი-ქვის მადნებზე მეთვალყურე მთავრობის მიერ განწესებულ შტეიგერთათვის დანიშვნა დამატებითის ჯამაგირისა მადნებში სამსახურისთვის თვითოეულ ხუთი წლიწადისთვის 100 მან.

7) რა წესი და რიგი უნდა იქმნას შემოღებული შავი-ქვის ხარისხ-ხარისხათ დაყოფისა, რომ შავი-ქვის გასაღება რიგიანათ წარმოებდეს.

8) ტეხნიკურის კომიტეტის დაწესება შავი-ქვის მადნების დასაცავათ.

9) გაყვანა გზა-ტკეცილებისა და გაუმჯობესებულ მისავალ გზებისა: მავთულის გზებისა და მეხანიკური მოწყობილებისა შავი-ქვის საზიდავათ მადნებიდან.

10) ჭიათურის პოსადათ გადაკეთება და მარტივი საზოგადოებრივი თვით-მართველობის შემოღება ჭიათურაში.

11) მომრიგებელი სასამართლოს დაწესება ჭიათურაში.

12) სტატისტიკური ცნობანი შავი-ქვის მადნის ამოღებისა და გაზიდვის შესახებ.

13) შტეიგერთა ინსტიტუტის რეორგანიზაცია.

14) სამრეწველო პოლიციის რეორგანიზაცია.

15) საპენსიო კასსის ანუ მუშათა დამზღვევი საზოგადოების დაწესება და საერთოთ შავი-ქვის მადნებში მუშათა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელ ზომათა მიღება.

16) სამთო სკოლებში სტიპენდიების დანიშვნა პირველი კრების დადგენილების თანახმათ.

17) $3/4$ კაპეიკი გადასახადის დადგენა $1/2$ მაგიერ და იმ გადასახადის გავრცელება იმ ქვაზედაც, რომელსაც ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურებიდან ეზიდებიან, ხოლო რომელიც ამ სადგურებზე მოაქვთ ჭიათურის რკინის გზით კი არა, არამედ ურმებით და ცხენებით.

18) შავი-ქვის გაზიდვას ხომ არ აბრკოლებს რამე—ან რკინის გზის მხრივ, ან და ფოთის ნავთ-სადგურის მხრივ.

19) შავი-ქვის გამგზავნელებს როგორ დაენიშნოსთ პლატფორმები და სასურველია თუ არა ამ საგანზე ახლანდელი წეს-რიგი დარჩეს ძალაში; აგრეთვე საფუძველი და წეს-რიგი იმისა, თუ შავი-ქვის მრეწველებს როგორ დაენიშნოსთ მადნის გადასატანათ დანიშნული ვაგონები.

20) მოსამსახურე პირთა არჩევანი:

ა) რჩევის თავმჯდომარისა.

ბ) რჩევის წევრებისა.

გ) შავი-ქვის მრეწველთა წარმომადგენლის სამადნო საქმეთა საკრებულოში.

დ) ვაგონთა და საწყობთა დამნიშვნელ კომიტეტის წევრთა და მათი კანდიდატებისა.

ე) შავი-ქვის მადნების მეთვალყურე ტეხნიკური კომიტეტის წევრებისა და მათი კანდიდატებისა, თუ ვინიცობაა ამისთანა კომიტეტის დაარსება კრებამ საჭიროთ დაინახა.

რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

Доз. ценз. Тиф., 8 Іюля 1900 г. სტამბა ე. ი. ხელაძისა. Тип. Е. И. Хеладзе Л.-Мелик. ул., № 28